

განმარტებითი ბარათი

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებისა და ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) *კანონპროექტის მიღების მიზეზი:*

არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში ჯერ კიდევ ვერ ხერხდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვაზე მკაცრი კონტროლის დაწესება. მძღოლები სარგებლობენ რა სავტომობილო გზებზე საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა არყოფნით ხშირად არღვევენ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესებს (აჭარბებენ დადგენილ სიჩქარეს, ქმნიან საავარიო ვითარებას, არ სარგებლობენ უსაფრთხოების ღვედებით, საუბრობენ მობილური კავშირგაბმულობის საშუალებებით და ა.შ.), რაც ზოგიერთ შემთხვევაში სავალალო შედეგით მთავრდება. სავტომობილო გზებზე ვიდუო-სათვალთვალ აპარატურის არარსებობის გამო სამართალდამრღვევები ადვილად ახერხებენ სათანადო პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევას.

ა.ბ) *კანონპროექტის მიღების მიზანი:*

კანონპროექტის მიზანია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვაზე მკაცრი კონტროლის დაწესება, სამართალდარღვევების დროულად გამოვლენა და პროფილაქტიკა.

ა.კ) *კანონპროექტის ძირითადი არსი:*

კანონპროექტის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მტკიცებულება ჩამონათვალს ემატება ვიდეოფირი და ფოტოფირი. თუ საპატრულო პოლიციელის მიერ ადგილზე არ გამოიწერება საჯარიმო ქვითარი და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა დაფიქსირებული იქნება ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ შესაბამისი ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრება ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გადაეგზავნება საჯარიმო ქვითარი.

ბ) *კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:*

ბ.ა) *კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:*

წარმოდგენილი კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.ბ) *კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:*

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) *კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:*

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას იმ პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.